

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო
უნივერსიტეტის
აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად საკონკურსო კომისიის
სხდომის

ოქმი #1

ქ. თბილისი

23 სექტემბერი 2019 წელი

2019 წლის 23 სექტემბერს შედგა აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად საკონკურსო კომისიის სხდომა

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე:

უკლება მაია - გთუნი-ს პრორექტორი, პროფესორი.

კომისიის წევრები:

1. ხუჭუა ვაჟა - გთუნი-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი.
2. ალადაშვილი გელა - გთუნი-ს ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.
3. თავართქილაძე სიმონი - გთუნი-ს ბიზნესისა და ეკონომიკის მართვის კათედრის გამგე, პროფესორი.
4. ბოჭორიშვილი ნინო - გთუნი-ს სამართლის ფაკულტეტის ხუსი, იურისტი.

კომისიის მდივანი:

დევდარიანი ქეთევანი - (ხმის უფლების გარეშე) გთუნი-ს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი.

კომისიის მოწვეული წევრი:

შანშიაშვილი ზურაბი - (ხმის უფლების გარეშე) გთუნი-ს ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის სწავლების მეორე წლის მაგისტრანტი.

დღის წესრიგი:

1. აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვა. /მომხსენებელი, პროფ. მაია უკლება, კომისიის თავმჯდომარე/
2. კონკურსსანტთან გასაუბრება.

მოისმინეს:

პროფესორ მაია უკლებას ინფორმაცია, აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თაობაზე.

პროფ. მაია უკლებამ აღნიშნა, რომ შპს გთუნი-ს რექტორის მიერ 2019 წლის 24 ივლისის გამოცემული ბრძანების (#01-01/64) საფუძველზე გამოცხადდა ღია კონკურსი. ბრძანებით განისაზღვრა განაცხადებების წარმოდგენის ვადები 2019 წლის 02 სექტემბრიდან 2019 წლის 13 სექტემბრის ჩათვლით. კონკურსის დღე - 2019 წლის 23 სექტემბერი, სააპელაციო ვადა - 3 დღე, საბოლოო შედეგები 2019 წლის 27 სექტემბერს. (ინფორმაცია განთავსებული იყო ვებ-გვერდზე და საქართველოს პერიოდულ პრესაში - გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ 26.07.2019წ.)

კონკურსის საფუძველზე უნივერსიტეტში ასარჩევი აკადემიური პერსონალის რაოდენობა განისაზღვრა 1 კაცით (ბიზნესისა და ეკონომიკის მართვის კათედრა - 1 ასისტენტ პროფესორი), კონკურსში მონაწილეობისათვის დოკუმენტაცია წარმოადგინა 1 კანდიდატმა.

კანდიდატის დოკუმენტაცია წარმოდგენილი იქნა ვადების დაცვით.

საკონკურსო მოთხოვნები და წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა განსაზღვრული იყო ზემოაღნიშნული ბრძანებით და განთავსებული იყო ვებ-გვერდზე, რაც ინფორმაციას საჯაროსა და ხელმისაწვდომს ხდიდა აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველთათვის.

გასაუბრებაზე გამოცხადდა 1 კანდიდატი.

კომისიის თავმჯდომარემ, მაია უკლებამ კომისიის წევრებს გააცნო კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, მისი შესაბამისობა მოთხოვნებთან, კერძოდ:

1. **ქ-ნი ტასო გეთაშვილი** რომელმაც კანდიდატურა წარმოადგინა ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტზე (ბიზნესისა და ეკონომიკის მართვის კათედრა) ასისტენტ პროფესორის თანამდებობაზე. კომისიის თავმჯდომარემ წევრებს გააცნო წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ისაუბრა მის სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობაზე. ქალბატონი ტასო 2016 წლიდან მუშაობდა გთუნი-ს ფინანსებისა და ეკონომიკის კათედრაზე მოწვეულ სპეციალისტად, ხოლო 2018 წლის 22 მარტიდან დღემდე დანიშნულია შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში ბიზნესისა და ეკონომიკის

მართვის კათედრაზე ასისტენტის აკადემიურ თანამდებობაზე. მას გამოქვეყნებული აქვს 10-მდე სამეცნიერო ნაშრომი.

კონკურსანტს დაესვა კითხვები სამეცნიერო-პედაგოგიური და პროფესიული მოღვაწეობის, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს, მის მიერ წარმოდგენილი სილაბუსებისა და დისციპლინების სწავლების კონცეფციის (ბაკალავრიატსა და მაგისტრატურის დონეების მიხედვით) თაობაზე, ასევე სწავლის თანამედროვე მეთოდებზე. მისი პასუხები დადებითად შეფასდა.

კანდიდატთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს კომისიის წევრებმა.

კანდიდატის საკითხი გატანილ იქნა კენჭისყრაზე, რის შედეგადაც კომისიის წევრებმა ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება და

დაადგინეს:

1. არჩეულ იქნეს შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე 4 (ოთხი) წლის ვადით შემდეგი კონკურსანტი:

ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი

ბიზნესისა და ეკონომიკის მართვის კათედრა:

ასისტენტ პროფესორის თანამდებობაზე:

ტასო გეთაშვილი

2. აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
3. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საუნივერსიტეტო სააპელაციო კომისიაში;
4. სააპელაციო ვადა განისაზღვროს სამი სამუშაო დღით კონკურსის ჩატარებიდან; (24, 25, 26 სექტემბერი)
5. კონკურსი დასრულდეს და საბოლოო შედეგები გამოქვეყნდეს 2019 წლის 27 სექტემბერს.

კომისიის თავმჯდომარე:

პროფ. მათა უკლება

კომისიის წევრები:

პროფ. ვაჟა ხუჭუა

პროფ. გელა ალადაშვილი

პროფ. სიმონ თავართქილაძე

ასოც. პროფ. ნინო ბოჭორიშვილი

მდივანი:

ქეთევან დევდარიანი